150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

14 / ივნისი / 2023 წ.

KA020120650810623

№ **22/4872**

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოგიდგენთ აბაშის მუნიციპალიტეტში, ქოლობანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით, 0.07 ჰა-ზე, 200000 მ/^{3} /წელიწადში, 15 წლით) მოპოვების სკრინინგის განცხადებას (ID_55997_89393, 22.03.2023 წ.).

ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე, სამეწარმეო დანიშნულებით აბაშის მუნიციპალიტეტში, ქოლობანის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე. გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი) მდებარეობს ზღვის დონიდან 19-20 მეტრის სიმაღლეზე. საინჟინროგეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი არ მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.

წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.

ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს. ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: ტოპოგრაფიული რუკა - 1 ცალი; გეოსაინფორმაციო პაკეტი - 3 გვ; Shp.

ხელმოწერილია/
ფაქსიმილეთ